№ 228

სამშაბათი, 4 ნოემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 228

სამშაბათი, 4 ნოემბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს,

ბენეფისი ელის. ჩერქეზიშვილისა

ქართულ დრამატიულ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

## ბედი მუხთალია

სცენები გლეხთა ცხოვრებიდან 5 მოქმ. თხზ. ეკატ. გაბაშვილისა

დასასრულ

პირველადახალი პიესა

## სამოცი წლის აშიყი

ვოდევილი 1 მოქმ. თხზ. ელ. ჩერქეზიშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარელისა, საყვარელიძისა, რჩეულოვისა, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

მზადდება „კუდურ ხანუმ", „სიყვარული და ცრუ-მორწმუნოება" და სხვ.

სათავად-აზნაურო თეატრი

შაბათს, 8 ნოემბერს,

ალ. კავსაძის და ივ. მჭედლიშვილის ქართული საერო

## ხორო

გამართავს

## კონცერტს

ოთხ განყოფილებად.

ხორო შესდგება 21 კაცისაგან.

პროგრამა ახალის სიმღერებით არის შევსებული: სხვათა შორის, ბ-ნი კავსაძე შეასრულებს სოლოს „სულო ბოროტო!"

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათ.

ადმინისტრ. ივ. მჭედლიშვილი.

(5—უ.—1)

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხსელე, კოლეჟსკი ასესორი ნიკოლოზ მინაძე—ფოთის სამაზრო ხაზინის ბუღალტერის თანაშემწედ. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა გამგეობის თარჯიმანი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ქავთარაძე—ერევნის გუბერნიის, ერევნის ნაწილის ხარჯის აგრეფის ინსპექტორის თანაშემწედ.

## ახალი ამბავი

⁂ მთავარმართებლის ბრძანებით, ქ. ყაზახის ბოქაული მარაკი დანიშნულ იქმნა განჯის გუბერნიის არეშის მაზრის უფროსად.

⁂ ტფილისის გუბერნატორს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე წარუგზავნია წარდგენილება იმის შესახებ, რომ ხმოსანი ევანგულოვი დამტკიცებულ იქმნეს ქალაქ ტფილისის მოურავის თანამდებობაზედ.

⁂ წლიური აქტი რკინის გზის სასწავლებელში 9 ნოემბერს იქნება.

⁂ რადგანაც მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას არ მოიძებნება ისეთი სადგომი, რომ კვირა-უქმე დღეებში სახალხო კითხვები გაემართათ, ამიტომ საჯარო კითხვების გამგეთ განზრახვა აქვთ იშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, რომ ნება მოგვეცით სახელმწიფო თეატრის ძველს შენობაში საჯარო ლექციები ვიკითხოთ, სანამ შენობა თავისუფალი იქნებაო.

⁂ 9 ნოემბრიდგან დაიწყება ქართული სახალხო წარმოდგენები ეგრედ წოდებულ „ავჭალის სასადილოს" შენობაში. პირველად წარმოადგენენ გ. ერისთავის პიესას „გაყრას".

⁂ 30 ოქტომბერს საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებაზედ ბ-ნთ ნ. ნ. შავროვმა და ი. გ. ქუთათელაძემ თავიანთ მოხსენებანი წაიკითხეს, პირველმა—ბაღოსნობისა და სასოფლო მეურნეობისათვის მავნე ცხოველებისა და მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლისა, ხოლო მეორემ—ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ. ბ-ნმა ქუთათელაძემ კრებაზედ დამსწრეთა ყურადღება უმთავრესად იმ გარემოებას მიაქცია, რომ ქუთაისის გუბერნიაში აბრეშუმის თესლით მოვაჭრენი ძალიან ხშირად გაფუჭებულსა და გამოუსადეგარს თესლს ავრცელებენ. საერთოდ მოხსენება მეტად საყურადღებო იყო. იმის განხილვას შემდეგ კრებაზედ შეუდგებიან.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ „წიგნების გამომცემელ „ქართველთ ამხანაგობის" გამგეობას აზრადა აქვს იანვრამდე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოიწვიოს.

⁂ კვირას, 9 ნოემბერს, აკურთხებენ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში მოსწავლეთა საცხოვრებლად აგებულს ახალს შენობას.

⁂ ამ ახლო ხანში ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში მალოროსიელთა დასი, ნ. კ. სადოვსკის მეთაურობით, წარმოდგენების გამართვას შეუდგება. სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ცნობილი არტისტი ზანკოვეცკაია. დასი ამ ჟამად ბაქოშია.

⁂ ავლაბარში მცხოვრებ ოსმალეთიდგან გადმოსახლებულ სომხებს შორის შავი სახადი გაჩენილა, ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა უკვე მიიღო ღონისძიებანი ამ ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ.

⁂ წარსულ კვირას ქუთაისსა და ბათუმში თოვლი მოსულა. ტყიბულში თოვლი ერთს ადლს აღემატება თურმე. რიონი ადიდებულა და ბევრგან ნაპირებიდგანაც გადმოსულა. ეშინიანთ, ისეთივე უბედურება არ დატრიალდეს წელს, როგორიც ამ ორის წლის წინად დატრიალდა.

⁂ კვირას, 2 ნოემბერს, სადღესასწაულო კრება ჰქონდა რუსეთის საიმპერატორო ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, რომელზედაც დაესწრნენ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული ი. ს. მედვედევი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, მინისტრის რწმუნებულის თანაშემწე თ. ა. შიმანოვსკი, სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი და აუარებელი ხალხი. განყოფილების თავმჯდომარემ ნ. ნ. შავროვმა წაიკითხა სია საჩუქრებისა, რომელიც მიეცა

## ფელეტონი

### წერილი ბაქოდგან

საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბალახანა.—ვინ არიან აქ მუშები და მწარმოებელნი.—დერგიუხოვი და ქიმშმიშ-ოღლი ერთ უღელ ქვეშ.—დაქვრივდნენ მაჰმადის სამოთხეში შავ-თვალა გოგონაები!—აქაურის მუშების მდგომარეობა. — ქართველები. — ქ. ბაქო.

ბალახანას ეძახიან იმ ხუთ ვერს სივრცე-სიგანე ნავთით გაჟღენთილ მიწას, რომელიც კასპიის ზღვის პირას, აფშერონის კუნძულზედ მდებარეობს. მთელი ეს ადგილი და მისი მოსაზღვრე რომანა და საბუნჩი დაფენილია ათ საჟენ სიმაღლეზედ აწოწილის ნავთის ქარხნებითა ანუ „ვიშკებით", როგორც აქ უწოდებენ. შორიდგან ეს არე წააგავს ზღაპრულს ტყეს, ხოლო ახლოდგან-კი ჯოჯოხეთს, სადაც ორთქლი, კვამლი, ჭვარტლი, მტვერი, ტალახი და ადამიანი ერთმანეთშია არეული. ხე, ქვა, შენობა, ერთის სიტყვით, რაცკი ბალახანაში მოიპოვება, მთლად შემჭვარტლულია და გაშავებული. წარმოიდგინეთ, უბედური ბეღურაცკი ისე შეჭვარტლულა, თქვენს უმორჩილესს მონას დიდად გაუკვირდა: „აქ რა პაწია შაშვები ყოფილაო!", ვიდრე არ დაარწმუნეს, რომ „შაშვები კი არა, სულ-გრძელი ბეღურანი გახლავანო". დაუმატეთ ამას მუდმივ მანქანების ჩხაკი-ჩხუკი, უზარმაზარის ქვაბების გრიალი, თუ სადმე შადრევანი სცემს, მისი გუგუნი, ყოველ ნაბიჯზედ ნავთის გუბეები, არხები, ამბრები, მაზუტის სულ-შემაგუბებელი სუნი, თითქმის გამუდმებული ჩრდილოეთის ქარი და იქნება წარმოიდგინოთ ბალახანა. უკეთესს სურათს არც მისი არე-მარე გადაგიშლით: მწირი და გახრიოკებული მიწაა, ვერა ნახავთ აქ ვერც მოხავერდებულს კორდს, ვერც ბიბინა მინდორს. თავის ჩამორჩობა რომ მოიწადინოთ, ხეს ვერ იპოვით! მხოლოდ აქა-იქ დაყიალობს თითოოროლა აქლემი და პირს იჩხვლეტს ეკლიან მლაშე ბალახით. უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც კასპიის ზღვას შიგნით შეუწევია, რადგანაც მთელი ეს არე-მარე მოფენილია ზღვის ლოკოკინის წვრილწვრილ სადაფებით.

ხომ ასეთია გარეგნობით ბალახანა, რომ ქართველი კაცი მისს დანახვაზე მაშინვე იტყოდა: „შევკრთი, რომ ვნახე ქვეყანა უდაბური და მწირია, მოვბრუნდი, მხარი ვიქციე, „შინისკენ" ვქენი პირია". (მაინც ასე იქცევა), მაგრამ ასე როდის მოქცეულა ჭკვიანი ევროპიელი, მას უთქვამს: „შევკრთი, რომ ვნახე სიმდიდრე ოხრად დებული მიწაში, ზედ მოვიკეცე, მოვმართე ორთქლის მანქანა იმ წამში"-ო, და ასეც მოქცეულა. იქ, სადაც, ოცის, ოც-და-ხუთის წლის წინად აქლემის ქარავანი დაყიალობდა და მართლ-მორწმუნეთ მაღალის ხმით უხმობდა მოლა, ეხლა ევროპიელ ორთქლის ბუმბერაზს შიგ გულში დაუკრავს ბასრი მახვილი და წიაღიდგან აშობინებს მილიონებს. ევროპიელს უკან მიჰყოლია აზიელი ფულანდარიც და დღეს ბალახანის მენავთე მწარმოებელთა შორის თქვენ შეხვდებით თითქმის ყველა ერის წარმომადგენელს: შვედს, ურიას, რუსს, სომეხს, ფრანგს, თათარს და, წარმოიდგინეთ, ქართველსაც-კი. მაგრამ ქართველებისას ქვევით მოგახსენებთ, ხოლო ეხლა-კი აგიწერთ აქაურ მუშათა ვინაობასა და მდგომარეობას.

ვინ არიან აქაური მუშები? აი გაბრძანდით აქაურ პარასკეობაზედ ბაზარში და დაუგდეთ ყური: თათარი, რუსი, სომეხი, ლეკი, ჩუხნა, ლატიში, ნემეცი, ურია, ქართველი, პოლონელი არეულან ერთმანეთში და გააქვთ ერთი ჟრიამული. გეგონებათ ბაბილონის გოდოლს მოვადექიო, მაგრამ ყველაზედ მომეტებული რიცხვი უფრო თათარია აქაური. ნავთის ქარხანას თვით ჰარ-ბელაქნის ქედგრეხილიდგან დაუგდია მძლავრი ბერკეტი და ისმაილ ლეკი, რომელიც გუშინ უდარდელად მსხლის ქვეშ ნამაზსა შვრებოდა, ეხლა აქ ასტრახანელ დერგიუსოვთან ერთად გაშფოთებული ჰმუშაობს, იმასთანა სძინავს, სჭამს და მეგობრობა აქვს. განურჩეველ ცხოვრებას საერთო დამღა დაუსვამს ყველასათვის და ერთ უღელში შეუბოჭნია. განსაცვიფრებელის სისწრაფით გადაუხევია აზიური ჩადრი და, როგორც დახელოვნებული დოსტაქარი, ერთს მუწუკს მეორეზედ აჰრის მკერდიდგან აფორიაქებულ მაჰმადის შვილთ. იმისს გარეგნობას, ზნეს, ჩვეულებას, ენას, სარწმუნოებას, ერთის სიტყვით, ყველაფერს, რაც-კი განსაკუთრებულს ელფერსა სდებდა იმას, ყველაფერს შეჰხებია ეს მოუწვეველი სტუმარი და შეუბრალებლად ანაცარმტვერებს იმისს წმიდათა წმიდას. ვიდა მოაცლის დღეში სამჯერ ნამაზისათვის? მაშინ ხომ დაჰკარგა დღიური ლუკმა! არც გრძელი ჩოხა ვარგებულა მანქაზედ სამუშაოდ და აკი იმასაც „პინჯაკი" გადაუცვამს. ხაშიშის მაგიერ ღვინო-არაყსაც შესჩვევია. არც სხვა ტომის ქალს იწუნებს ცოლად და ბევრს შეხვდებით აქ იმისთანა მაჰმადიანს, რომელსაც ცოლად ან რუსი ჰყავს, ან გერმანელი, ან ურია.

შეიძლება გაგიკვირდეთ და სთქვათ: „განა მართლ-მადიდებელთა კანონი არ ეწინააღმდეგება სარწმუნოების დამარღვეველ ქალებსაო?" დიახ, არ ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში ისინი გაკიცხულ ქალთა რიცხვში ითვლებიან და რაკი ეს ასეა, ამისთანა ქალს ხომ ნება აქვთ, ვინცა ჰსურთ იმას წაჰყვნენ ცოლად. ხოლო მაჰმადიანისათვის-კი სულ ერთია ქრისტიანული კანონი დასცემს დასტურს თუ არა. ყორანი ჯვარის-წერას არ ავალებს და რაც სხვისთვის უკანონოა, ამ შემთხვევაში იმისთვის კანონიერია და თავისს ცოლს ანიჭებს ყველა იმ უფლებას, რაც-კი აქვს იმისის მეზობლის მეუღლეს, მაჰმადიან ქალთაგანს. ორისავ მხრივ სარწმუნოების დამარღვეველთა შეკავშირების მიზეზად შემდეგი უნდა დავასახელოთ: მაჰმადიანს სხვა ტომის ქალის შერთვის დროს საწინდარი

პირველ კავკასიის ბაღ-ბოსტნეულობის გამოფენაზედ წარმოდგენილ საგნებს. საჩუქრები მიეცათ შემდეგ ქართველებს: დიდი ვერცხლის მედალი ტფილისის გუბერნიის სოფ. მერეთის მემამულეს ისაია ფურცელაძეს საუკეთესო ხილის გამოფენისათვის; ვასილ დავითის ძე ადამიას ქუთაისის გუბ. ალექსანდრეს სასწავლებელის ბაღის საუკეთესოდ მომართვა-მოწყობისათვის; ქუთაისის გუბ. მცხოვრებს ნატალია პლატონის ასულს ქიქოძისას აბრეშუმეულობისა და შინა-მრეწველობის ცოდნის გავრცელებისათვის.

პატარა ვერცხლის მედალი: ქუთაისის გუბერნიის სოფ. ბახვის ნორმალურ სასწავლებელს ჩარჩოიან სკების შემწეობით მეფუტკრეობის მშვენიერ საგნების დამზადებისათვის; დ. ხონის მცხოვრებელს ნინო ჰავჰანიძისას მშვენიერ აბრეშუმის ძაფის დამზადებისათვის: საჩხერის ერთ-კლასიან სასწავლებელს ჩარჩოიან მეფუტკრეობით დამზადებულ საგნებისა და თაფლისაგან მშვენიერ სასმელის დამზადებისათვის; ბახვის სასწავლებლის ზედამხედველს გრიგოლ დავითის ძე შარაშიძეს სასწავლებელთან მშვენიერ საფუტკრის დაარსებისა, მეფუტკრეობისა და აბრეშუმეულობის საქმეში მოღვაწეობისათვის; იოს. ივ. სულხანიშვილს საუკეთესო კახურ ღვინის გამოფენისათვის.

დანარჩენ დაჯილდოვებულთა სია ხვალ იქნება გამოცხადებული.

*** ტფილისის მოქალაქემ გიორგი მანუჩაროვმა ამას წინად მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, ნება მომეცით საყასბოში დახოცილ საქონელის სისხლი გამოვიყენო და ქალაქის სასარგებლოდ წელიწადში 110 მან. გარდავიხდიო. იმისი თხოვნა განსახილველად გარდასცეს საექიმო-სასანიტარო საბჭოს და აღმოჩნდა, რომ სისხლი საქონლისა მანუჩაროვს ღორების საკვებად სდომებია. ამის გამო ქალაქის გამგეობამ, მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ საყასბოზედ სნეული საქონელიც იკვლებაო, მანუჩაროვს უარი განუცხადა.

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა და იმისმა მეუღლემ მ. თ. გოლიცინისან 4,000 მანეთი შესწირეს ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოებას.

*** „ცნ. ფურც“. სწერს, ჩვენ გავიგეთ, რომ სოფ. ველისციხის მემამულეს ბ-ნს ექვთიმე გამრეკელს ჩაქვში შეუძენია ჩაის მცენარის ნერგები და თავისს მამულში უნდა გააშენოს. ბ-ნს გამრეკელს იმედიცა აქვს, რომ ეს სასარგებლო მცენარე ამ ადგილას ძალიან იხარებს, რადგან ნიადაგი კარგია და ჰავაც ისეთია, რომ ხსენებულ მცენარეს თავისს პირველ სამშობლოს მოაგონებს. იმედია, თუ ბ-ნის გამრეკელის ცდამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, სხვა მემამულენიც მიჰბაძავენ და თითონაც შეუდგებიან ჩაის მცენარის გაშენებას.

*** გაზ. „ტფ. ფურც.“-ში შემდეგი დაწვრილებითი ცნობებია დაბეჭდილი რკინის გზის სადგურ ხაშურის მოხელის ა. კანდელაკის მოკვლის შესახებ. სოფ. ქალაში სტუმრობა ჰქონდა თურმე თ. დიმიტრი აბაშიძეს, რომელთანაც, სხვათა შორის, მიწვეული იყო ა. კანდელაკიც. როდესაც სადილი გაათავეს და დარბაზში გახურებული ცეკვა გაიმართა, რამდენიმე კაცი ისევ სუფრაზედ იყვნენ და განაგრძობდნენ ღვინის სმას. კანდელაკმა დიასახლისის სადღეგრძელო დალია. თავ. ს. აბაშიძემ, მასპინძლის ბიძამ, ამოიღო თურმე რევოლვერი, სთქვა, რომ ამ სადღეგრძელოს უნდა მოვულხინოთო, და განზრახვა ჰქონდა ჭერში გაესროლა რევოლვერი. კანდელაკმა ხელი სტაცა და დაუწყო თურმე ხვეწნა, ნუ დასცლი რევოლვერსაო. ამ დროს გაისმა რევოლვერის ხმა, ტყვიამ კანდელაკს ცხვირში გაუარა და კეფაში ავიდა. საბრალო ა. კანდელაკმა ამის შემდეგ მხოლოდ 10 საათს იცოცხლა თურმე.

*** გაზ. „ახ. მიმოხ.“ სწერენ ბაქოდგან: „როგორც ისმის, თავ. მუხრანსკი და ამხ. თხოულობენ ნებას იასამალის ველში ნავთის ამოსაღებ მანქანის დადგმისას. ამ ხმამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ტფილისისა და ბაქოს იმ პაის პატრონთა შორის, რომელთაც აზრადა ჰქონდათ ეს ადგილი აეღოთ საწარმოებლად. იასამალის ველი თავისის ნავთით საბუნჩისა და რომანიის ადგილებზედ ნაკლებ არ არის ცნობილი“.

*** იმავე გაზეთს სწერენ ქუთაისიდგან: „თეატრის საქმე ამ სეზონში ძალიან კარგად მიდის. კვირაობით ქართული წარმოდგენები იმართება ხოლმე. ათასში ერთხელ სცენის მოყვარენი რუსულ ენაზედაც სდგამენ წარმოდგენებს. ადგილობრივმა ქართულმა დრამატიულმა დასმა დიდის შრომითა და მეცადინეობით, როგორც იყო, დასძლია ქუთაისის საზოგადოების გულგრილობა და ამ უკანასკნელ დროს თეატრი თითქმის ყოველთვის ხალხით სავსეა ხოლმე“.

*** თავად ევსევი და ილია ფავლენიშვილების და გლეხის არბოლიშვილის საქმე, რომელიც პირველ ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში უნდა გარჩეულიყო, გადაიდო, რადგაც სამოქალაქო მომჩივარი და ზოგიერთი მოწმენი არ გამოცხადდნენ. თავ. ფავლენიშვილებსა და გლეხს არბოლიშვილს ის ბრალი ედებათ, რომ კაცის მოკვლა ჰქონიათ განზრახული.

*** გაზ. „კავკაზის“-ს სიტყვით თელავის საზოგადო წიგნთ საცავის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა თურმე, რომ ამ წიგნთ-საცავის წესდებას ერთი მუხლი მოემატოს წლიური საწევრო გადასახადის დაკლების შესახებ.

*** გორის მაზრის სოფ. ტეზერისა და ყიფიანთ-უბნის მცხოვრებელთ თავად-აზნაურთა და გლეხებს მიუმართავთ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობისათვის და უთხოვნიათ, რომ მატარებელისათვის გასაჩერებელი ბაქანი გაგვიმართეთო. თავიანთ შუამდგომლობას მთხოვნელები ასაბუთებენ იმითი, რომ ზემო დასახელებული სოფლები მაღალსა და მშვენიერს ადგილზედ მდებარეობენ და ბუნებისაგან უხვად არიან დაჯილდოვებულნი. ეს სოფლები ნაქებია ჰაერით, წყაროებით, გოგირდის წყლებით და მრ. სხვ., ასე რომ ბევრს დახმარებას აღმოუჩენენ სხვა და სხვა სენით ავადმყოფთ, რომელნიც ზაფხულობით სოფლებსა და აგარაკებში მიდიან ხოლმეო. ამ სოფლების ასეთის უპირატესობის მიუხედავად, ამ ჟამად აქ საგარაკოდ არავინ მოდის, მაშინ როდესაც ხაშური, სურამი, ჩუმათელეთი, იტრია, ქვიშხეთი, ახალდაბა და სხვ., რომელნიც ყველაფრით ჩამორჩებიან ტეზერსა და ყიფიანთ-უბანს, ყოველზაფხულს ხალხით არის სავსეო. ამის მიზეზი კი უგზოობააო. რკინის გზის გამგეობამ განიხილა ეს შუამდგომლობა და არ შეიწყნარა იგი, თუმცა ბაქანის აგების ხარჯს თვით მთხოვნელები ჰკისრულობდნენ, მიზეზი უარისა ის არის, რომ იმ ადგილას, სადაც ბაქანის გამართვასა თხოულობენ, აღმართია და მატარებლის შეჩერება შეუძლებელიაო.

*** თერგის ოლქის საერო სასწავლებლების დირექტორს ს. თ. გრუშევსკის ტფილისის სამოსამართლო პალატაში საჩივარი დაუწყია. იგი უჩივის „ტფილისის ფურც.“ ის რედაქტორს ი. გ. ხაჩატუროვსა და ამ გაზეთის თანამშრომელს ს. კ. მიხაილოვს, რადგან ერთმა შეადგინა და მეორემ დაჰბეჭდა კორესპონდენცია კავკავიდგან, რომელშიაც ნათქვამია: ა) რომ ს. თ. გრუშევსკი, როგორც საბჭოს ხმოსანი წინაღმდეგი იყო ნიკოლოოზის სახელობაზედ დაარსებულ საქალაქო სასწავლებლის გაფართოვებისაო; ბ) რომ იგი, ვითარცა საერო სასწავლებლების დირექტორი, კავკავის კლუბის წევრად არ მიიღესო; გ) რომ გრუშევსკის მოხუცებულობის უძლურება სჭირსო და სხ. ჩვენ ჩვენის მხრივ ძალიან კმაყოფილნი ვართ, რომ ბ-ნმა გრუშევსკიმ იჩივლაო, ამბობს გაზეთი, რადგან ამ საჩივრის გამო სასამართლოს შემწეობით გამოვარკვევთ, რამდენადაც მართალსა ვწერდითო.

*** ქ. განჯა. 29 ოქტომბერს, პორუჩიკმა თავ. ჯორჯაძემ, როგორც ამბობენ, ხაზინადრის თანაშემწე ლაზარევი შეურაცხყოფობისათვის მოჰკლაო.

*** ნატანები. 1 ნოემბერს, საშინელმა წვიმამ, ქარმა და ნიაღვარმა რკინის გზის სადგურის შენობა იმდენად დაანგრია, რომ შიგ დგომა შეუძლებელი გახდა. კედლები ზოგან საშინლად დასქდა, ზოგან კიდევ ჩამოწვა. პირველი და მესამე კლასის დარბაზები დაიკეტა. რკინის გზაზედ მოსამსახურეთა სადგომებიც საშინლად დაშავდა. ზოგს ჭერი სულ ერთიანად ჩამოენგრა. სადგურის უფროსმა ეს ამბავი ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს შეატყობინა და სთხოვა, ვაგონები გამოგზავნეთ მოსამსახურეთა საცხოვრებლად და მგზავრებისათვისაო.

*** სადგური მარტოთუბანი, (ქიათურის შტო). პირველს ნოემბერს, საღამოს 5 საათზედ, სადგურ მარტოთუბანის მახლობლად, მიწის ზვავი ჩამოწვა და რამდენსამე მანძილზედ ლიანდაგი წაახდინა. ამ ადგილზედ მატარებლის მიმოსვლა ჯერ-ჯეროისათვის შეწყვეტილია.

---

არა სჭირდება და თვით ქალი კი მისდევს მაჰმადიანს იმისთვის, რომ მოსწონს მისი თავდაჭერილობა ღვინოსა და არყის სმაში და იცის, რომ მაჰმადიანის ცოლის დაკრძალულ ჩადრის ქვეშ ცხოვრება ააცდენს იმ აუტანელს შრომას, რომელიც მოელის თავისის სარწმუნოების მეუღლის ხელში. ასეა თუ ისე, დაჰგმო მაჰმადიანმა ყორანი და დაავრივა მაჰმადის სამოთხეში აღთქმული შავთვალა გოგონაები. დიახ, თვით სახლის კერიდგან მიუყვია ხელი კარზედ აღმართულ ქარხანას და ოცის წლის განმავლობაში შეუძრავს ის დედა-ბოძი, რომელიც აღმართა ათი ათასმა წელმა და რომელზედაც ემყარა მაჰმადიანთა შინაური და გარეული ცხოვრება. ჰგრძნობს ალლოთი ამას საცოდავი, ჰგრძნობს, რომ აზიურს შიქასტას ევროპიულ „ვოტრელიუ ლით“ ათავებს და ერევა სისხლი. ბალახანა და კაცის კვლა თითქმის სინონიმია. არა ჰზოგავენ ისინი არც ერთმანერთს და არც გარეშეთ.

არც სხვა ერის მუშები არიან ბედნიერს ცხოვრებაში. პირველად მნახველს თვალში ეჩხირება მათი უსუფთაობა, სილატაკე და ლოთობა. აქაური მუშა ორთა შუა რიცხვით იღებს თხუთმეტიდგან ოც მანეთამდე, ხოლო ხელოსანი, მაგალითებრ, დურგალი, ჩილინდარი და სხვა, იღებს ხუთიდგან ათ თუმნამდე. მაგრამ ერთიცა და მეორენიც შიშველ მშიერნი არიან. აგერ მოდის ბრბო დახეულ-დაგლეჯილი, ნავთში ამოსვრილი, ერთი ბარბაცებს, მეორე იგინება, მესამე მუშტს ატრიალებს. ესენი დუქნებიდგან გამოვიდნენ და შესცვალეს ქარხანაში მომუშავე თავისი ამხანაგები, რომელნიც დაღლილ-დაქანცულნი გაემართნენ დუქნებისაკენ და პატარა ხანს უკან მოისმის გატანჯულის ხმით შემოძახილი: „Когда я былъ мальчикъ слободный“... ან კი რა უნდათ სახლში?! იქ, სადაც არა ნაკლები მთვრალი ცოლი და ტიტველი ბალღები დახვდებიან; იქ, სადაც აშმორებულ ჰაერში, ატალახებულ მიწაზედ ერთი ერთმანეთზე უნდა დაეყარნენ. აი რას სწერს „მოსკ. ვედ.“ კორესპონდენტი ბალახანიდგან ამ გაზეთს ამავე საგნის შესახებ: „Нѣтъ сколько нибудь даже сносныхъ жилищъ для рабочихъ, которые буквально ютятся въ какихъ то зловонныхъ, прокоптелыхъ и грязныхъ до безобразія конурахъ, скорѣе похожихъ на логовища животныхъ“.

მერე სცდილობენ აქაური მენავთე კაპიტალისტები, რომ ცოტად მაინც გააუმჯობესონ იმათი მდგომარეობა? სრულიადაც არა! რიგიან საცხოვრებელ შენობათა მაგიერ, ქარხნების ირგვლივ ჰმატულობს მხოლოდ სასმელის დუქნების რიცხვი. არც სხვა მხრივ არიან კარგს მდგომარეობაში აქაური მუშები. საავადმყოფოსა და იმათ გონების განსანათლებლად შავი ქალაქი, ბალახანა და საბუნჩი ჰხარჯავს წელიწადში ოცი ათას მანეთზედ არა უმეტესს. განა გასწვდება ეს ფული ორას ქარხანას შავს ქალაქში და ოც-და-ათი ათასს სულს ბალახანა-საბუნჩში? აი, ამდენის ხალხისათვის აქ არც ეკკლესიაა, არც სამკითხველო, არც სასწავლებელი, თუ არ გავიხსენებთ ზოგიერთ ევროპიელ კაპიტალისტს, რომელთაც უკეთ შეუგნიათ თავისი ინტერესები და მუშათათვის რიგიანი სადგომებიცა აქვთ, აბანოც და სასწავლებელიც, ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავთ ნობელისა და ბენკენდორფის ფირმებს. ბენკენდორფმა ამ მოკლე ხანში ისიც დაიწყო, რომ საღამოობით სხვა და სხვა სასარგებლო წიგნებს უკითხავენ მუშებს. ეს პირველი მაგალითია აქ. ხმა დადის, ვითომც ზოგიერთნი აქაურნი ევროპიელებზედ ჰყიდიან თავიანთს წარმოებას. ღმერთმა ჰქმნას, ასე მოხდეს, რადგანაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, იმათ უფრო უკეთ ესმით თვისი ინტერესები და შედარებით მუშის ცხოვრებას უფრო გააუმჯობესებენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენებური ფულანდარ-მწარმოებელი ჯერ კიდევ არ არის სავსებით ბურჟუა-კაპიტალისტი. იგი არა ჰგავს ევროპიელს კაპიტალისტს, რომელიც ნაყოფია რამდენისამე ასი წლის ისტორიისა, რომლის განმავლობაშიაც იგი იწვრთნებოდა, და ეხლა ჩვენ წინა სდგას მძლავრი ადამიანი, აღჭურვილი ორ-გვარის იარაღით: გონებითა და ქონებით. ჩვენებურს კაპიტალისტს-კი არც უკან მოსდევს გავლილი გზა და არც წინ მიუძღვის „ნათელი კვალი“. იგი უფრო წურბელაა დიდს კანში მოთავსებული. მუდამ თვალ-წინ თვისი ქისა უძევს და მხოლოდ ერთი-ღა ახსოვს: „რაც მეტს ოფლს გამოვწოვ, მით უფრო აივსება ქისაო“. ქისის ავსების სურვილით იგი წააგავს პირველს; ხოლო როგორ აავსოს დიდი ქისა ცოტა ოფლით, ამისი-კი ჯერ არა გაეგება რა. ერთის სიტყვით, იგი ჯერ კიდევ ბაღლია ევროპიელ კაპიტალისტთან, რომელსაც ისე უყვარს მწვადის შეწვა, რომ არც შანფური დაწვას და არც ხორცი. რასაკვირველია, მოვა დრო, როდესაც ჩვენებური ფულანდარ-მწარმოებელნიც გაიწვრთნებიან და შეიგნებენ ყოველსავე, მაგრამ ვიდრე პეტრე მოვა, საწყალს პავლეს ტყავიც გასძვრება. მაინცა და მაინც სასურველია თუ არა ევროპიელ კაპიტალისტი ჩვენში, იმათი მეტოქეობა ჩვენებურებთან, — ეს სულ სხვა საგანია, რომლის შესახებ ბაასი ამ წერილში აზრად არა გვქონია, და ამიტომ დავუბრუნდეთ ისევ ბალახნელ მუშებს.

აქაურ მუშისათვის (არიან დღიურნიცა და თვიურნი) არ არსებობს კვირა და უქმე. ერთად-ერთ აღდგომის დღეს შეაყენებენ ხოლმე მანქანებს. (მაშინაც ყველა ფირმა არა), დანარჩენ დროს ღამეც მუშაობაა და დღეც. მუშაობა საზოგადოდ ცამეტს საათს არ აღემატება. დაღლილ დაქანცული გამოდის მუშა ქარხნიდგან. მისი სხეული ინსტიქტიურად ეტანება ისეთს რასმე, რომ მოწყვეტილ-მოდუნებული ძარღვები კვლავ გაიცოცხლოს; იმისს სულსა და გულს მარტო მუშაობა ვერ აკმაყოფილებს, იმასაც უნდა დაივიწყოს ერთის წუთით: „შრომა... ოფლის ღვრა... სილარიბე... ძუნწი ცხოვრება...“ იმასაც უნდა ერთს წუთს ოცნებით მაინც მოაფერადოს თვისი გაწვრთნილი, ერთფერი, გატანჯული სიცოცხლე, და რა გააცოცხლებს ერთის

ბით შეჩერებულია, ვიდრე დროებითს ლიანდაგს გააკეთებენ. მიწის გადაყრას და ახალის ლიანდაგის კეთებას უკვე შეუდგნენ. მგზავრები ამ ადგილზედ ფეხით გადადიან-გადმოდიან. იმედი აქვთ, რომ ახალი ლიანდაგი ოთხშაბათამდის გააკეთონ; ხოლო ძველი ლიანდაგის გაწმენდა კიდევ დიდხანს გასტანს, რადგანაც, როგორც ეტყობა ამ დღეებში კიდევ სხვა ახალი ზვავი ჩამოწვება.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბისხევში მიხეილ ზურაბიშვილს იმდენი უცემია ნატალია ზურაბიშვილისათვის, რომ იგი ცემისაგან გარდაცვლილა.

⁂ სოფ. თოხლიაურიდგან სწერენ გაზ. „ტფ. ფურ.“ ამ დღეებში მოკლულ იქმნა თავ. ჩერქეზიშვილი, რომელიც ჩაფრების უფროსად იყო ალბულაღში. ჩერქეზიშვილის ერთი ნათესავთაგანი ჩაესაფრა და გამოიარა თუ არა ჩერქეზიშვილმა საფართან, გამოვარდა უცებ, ეცა და კეტით დაუწყო ცემა საცოდავს. იმდენი სცემა, რომ თავი გაუხეთქა, რის გამოც იგი გარდაიცვალაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. სალომინაო,** (ქუთაისის მაზრა). ჩვენ სოფელს გარეშემო ახვაგია უხუთი, ბაგინეთი, ზეინდარი, როხი, ნოდა და ამ ექვს სოფელთაგან მარტო ერთ ადგილას ჰბჟუტავს საცოდავად სამრევლო სასწავლებელი. არ მოგვეპოვება აგრეთვე ხეირიანი გზები, ხიდები ათვთიბქი, არა გვყავს ექიმი და არც ფერშალი. აქ გაბატონებულან ქურდ-ბაცაცები და თანდათან ჰმატულობს რიცხვი ცრუ მარჩიელებისა. არ არის ჩვენს ბედზედ ხეირიანი ეკკლესია, რომ კაცმა ლოცვა-ვედრებაში მაინც დაივიწყოს ყოველივე ჭირ-ვარამი. სოფ. სალომინაოსა და ზედ მიწერილ სოფელში 400-ზედ მეტი კომლი მცხოვრებია, გვაქვს ორი ეკკლესია, მაგრამ რა გამოვიდა. ერთი ხისა იყო და ისეთ ნაირად მიინგრ-მოინგრა, რომ წირვა-ლოცვა აღარა სრულდება, და მეორე ეკკლესია-კი თუმცა ქვითკირისაა, მაგრამ ესეც სახურავ გადახდილია. როგორც გარეთ, ისე შიგ ეკკლესიაში მოდის ხოლმე წვიმა. ხატები სულ ერთიანად გადარეცხილია კანკელზედ და ცარიელა ფიცრებზედ-ღა ვიწერთ პირჯვარს. ამ ათის წლის წინად ეკკლესიის შესაკეთებლად 500 მან. მოუგროვებიათ, გაუსესხებიათ და დღეს მგონი ას თუმნამდის იყოს, მაგრამ ეკკლესია კი არ იქმნა, არ შეკეთდა. ყოველ დღესასწაულ დღეს შეიკრებება ხოლმე ხალხი, იტყვიან, რომ ვისაც ეს ფული აქვს გამოაჩინოსო, თორემ ხატზედ გადავცემთო და დაიშლებიან. ეკკლესიას აქვს აგრეთვე სახნავ-სათესი მამულები და ვენახი, მაგრამ მგონი ამის შემოსავალიც არსად ჩანს. საკვირველია, ღმერთმანი, ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ეკკლესიის საქმის ასე უპატრონოთ მიტოვებას?

არ იქნა, ვერ მოვისვენეთ აბეზარ ხალხისაგან. თუმცა ზოგიერთი ბოროტ მოქმედი კაცი მოაშორეს სოფელს, მაგრამ აქაური უსაქმური აზნაურები მთელს სოფელს იკლებენ და აწიოკებენ. ჭირნახულს უზარალოდ ვერ მოვიყვანთ, ოთხფეხს ხეირიანად ვერ ვაზრდით; ზოგს ფეხს მოსტეხავენ, ზოგს თეძოს და ჩვენ ხომ სული ამათგან გვიდგია. ახლა კიდეც ბოროტმოქმედნი გაჩნდნენ და ბალ-ბოსტნის მესრული არ დაგვიყენეს, ვენახში ვაზი და სარი. იმას გარდა, რომ თითონა სწვავენ, ჰყიდიან კიდეც, მაგრამ ვინ არის ჩვენი პატრონი. ვჩივლეთ კიდეც, რომ ასე და ამნაირად გვაწიოკებენო, მაგრამ ყურიც არ გაიბერტყეს. ვართ ასე ღვთის ანაბარად მიტოვებულნი და თუ თითონ არ ისვინდისეს და ხელი არ აიღეს ამ ტაცაობაზედ, იძულებულნი ვიქნებით მივატოვოთ მამა-პაპის საფლავ-სამარხი, ტყე და ველი, ავიკიდოთ გუდა ნაბადი და გავსწიოთ საითკენმე დასასახლებლად.

ა. მებურიშვილი

### სოფ. დიღმის საეკკლესიო სამრევლო სკოლის კურთხევა

28 სექტემბერი დიდ ბედნიერ და შესანიშნავ დღედ უნდა ჩაითვალოს ს. დიღმისთვის. ამ დღეს აკურთხეს ამ სოფელში ახლად დაარსებული საეკკლესიო სამრევლო სკოლა, რომლის დაარსების საქმეში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის იმავე სოფლის მღვდელს მ. იოელ გამრეკელს. სკოლის კურთხევა ინება თვით მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა, საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმერმა. ამ დღეს დიღმის შტატის ეკკლესიაში მწირველნი იყვნენ: რექტორი სემინარიისა არხიმანდრიტი სერაფიმი და მღვდლები იოელ გამრეკელი და აპ. გოდერძიშვილი; წირვის დროს მეტად ტკბილად და სასიამოვნოდ ჰგალობდნენ სემინარიის მოსწავლენი ქართულად. არა თუ თვით ეკკლესია, ეზოშიაც არ ეტეოდა ხალხი, რადგან მთლად საზოგადოება აქ მოსულიყო. ამ არა ჩვეულებრივს სანახავს თვით ბუნებაც ხელს უწყობდა და მშვენიერი საამო დღე იყო. წირვის დამთავრების შემდეგ, ექსარხოსი ვლადიმერი შემოსილი, ხელში ჯვრით, რომელსაც ახლდნენ შემოსილნივე არხიმანდრიტი სერაფიმი, ბლაღოჩინები: სოლ. შოშიაშვილი, მარკოზ ტყემალაძე, მღვდლები: იოელ გამრეკელი და გოდერძიშვილი, გაემართნენ სკოლის შენობისაკენ, რომელიც მოწყობილი და მომზადებული იყო შუაგულს სოფელში. ამავე დღისთვის აქ მობრძანებულიყვნენ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ მუხრანსკი, ტფილისის მაზრის უფროსი თ. ჯანდიერი, ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბ. თუმანოვი, ტფილისის გუბერნიის საეკკლესიო-სამრევლო შკოლების ზედამხედველი ბ-ნი ტატიშვილი და მრავალნი სხვანი.

სკოლის კურთხევის შემდეგ, სადაც მწყობრად თვით მოსწავლენიც იდგნენ, ექსარხოსმა ვლადიმერმა მიჰმართა ხალხს დიახ მშვენიერის სიტყვით; მან განუმარტა და ცხადად დაუხატა ხალხს საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მნიშვნელობა და სარგებლობა. სიტყვის დასრულების შემდეგ, ექსაქრხომა ვლადიმერმა ინება მისი სიტყვა ქართულს ენაზედ იქვე გადაეთარგმნა ხალხისათვის მღვდელს იოელ გამრეკელს, რომელმაც მართლაც გასაგების, უბრალო და ხალხის გასაგონად, ხმა მაღლად და მკაფიოდ უთარგმნა ესევე სიტყვა. დაამთავრა რა მღვდელმთავრის სიტყვა, მღ. იეოელ გამრეკელმა თვითვე მიჰმართა ექსარხოსს შემდეგის სიტყვით: „თქვენო მაღალყ-დ უსამღვდელოესობავ, მწყემსთმთავარო! ნება გვიბოძეთ ჩემის მრევლის მხრით მოგმართოთ სულის სიღრმიდგან აღმონათქვამის სიტყვით. ვართ რა სიხარულით აღძრულნი თქვენის მობრძანებისა გამო იმ ჩვენს ეკკლესიაში, სადაც ხშირად აღიმაღლება ხოლმე თქვენდა სადღეგრძელოდ ლოცვა-ვედრება წინაშე უფლისა, მობრძანებისა გამო ამ სკოლაშიაც, რომლის კურთხევა ეხლა თქვენ ინებეთ, კეთილ კრძალულის გრძნობით გვევსებით და სულით და გულით მოხარულნი, გმადლობთ... იმიტომ, რომ შენ ჩვენ სიმართლის და ჭეშმარიტების გზაზედ გვაყენებ, შენ ავსებ ჩვენს ნაკლულევანებას თვისის უგანათლებულესის გამოცდილებით, ბრძნულისა და გონივრულის რჩევით და მამობრივის დარიგებით. ჩვენი დღევანდელი სიხარული აუწერელი და ორკეცია; ორკეცია იმიტომ, რომ შენთან, შენის თანადასწრებით ჩაედგა დღეს საძირკველი ამ საეკკლესიო სამრევლო სკოლას, რომელიც აქაურ მრევლისათვის შეადგენს ზნეობის დასაწყისს, ურომლისოთაც განათლება, კეთილდღეობა და წარმატებაც არარაობას წარმოადგენს. ჭეშმარიტად რომ დღევანდელი დღე ჩვენთვის შეადგენს დღესასწაულს და ჩვენი სიხარულიც დაუვიწყარი დარჩება ხალხის ხსოვნაში“. დაასრულა რა ეს სიტყვა მღვდელმა გამრეკელმა, ექსარხოსმა ვლადიმერმა იქვე სახალხოთ უთხრა მადლობა გრძნობითი სიტყვის წარმოთქმისათვის.

ექსარხოსმა ვლადიმერმა ასხურა ხალხი და მოსწავლენი, დაურიგა ჯვრები და შემდეგ ისევე სამღვდელოებით დაბრუნდა ეკკლესიაში, სადაც ხალხმა მიიღო მისგან ლოცვა-კურთხევა. ეკკლესიიდგან ექსარხოსი სამღვდელოებით და მთლად იქ დამსწრე საზოგადოებით გაემართა თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სასახლეში, რომელიც აშენებულია დიდს და მშვენიერს ზვარში. აქაც ხალხს ბ-ნმა საეკკლესიო სამრევლო სკოლების ზედამხედველმა მიჰმართა გრძნობით სავსე სიტყვით, რომელშიაც განუმარტა ხალხს სწავლა-განათლების მნიშვნელობა; ბ. ტატიშვილმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: ყურადღება და პატივისცემა არ აკლია ამ თქვენს სკოლას, თვით ყოვლად უსამღდელოესმა, ექსარხოსმა ვლადიმერმა გიკურთხათ სკოლა და დიდად სასიამოვნოდ მიაჩნია დღევანდელი დღე. თვით თ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ დიდი დაუფასებელი თანაგრძნობა გამოიჩინა ამ საქმეში, შემოსწირა ერთ დროებით ორმოცი თუმანი, ყოველ წლობით ათ-ათი თუმანი და მამულიც, თუ-კი იგი დასჭირდება სკოლასაო.

ამ სიტყვის დასრულების შემდეგ ხალხმა იგრიალა და ერთხმად მადლობა განუცხადა თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის უხვის შეწირულებისათვის, მადლობავე განუცხადეს როგორც ზედამხედველს ტატიშვილს, აგრეთვე იმას, ვინც სკოლის დაარსების და განხორციელების საქმე სისრულეში მოიყვანა.

ექსარხოსი ვლადიმერი სამღვდელოებით და საპატიო სტუმრებითურთ მიწვეულ იქმნა ბ. ბაგრატიონ-მუხ-

---

წუთით, თუ არ ღვინო, რა ალაფრთოვანებს იმისს გულს, თუ არ ალკოჰოლით მოწამლული ოცნება! და აი ისიც—მით უმეტეს, რომ სხვაგან ვერსად წავა—მიდის დუქანში და დუქნიდგან ქარხანაში ბრუნდება უფრო გალახული; დაუძლურებული გრძნობითა და გონებით. მეორეც ესა, ბალახანაში იმისთანა მუშა მოდის, რომელსაც სხვაგან ლუკმის შოვნის ილაჯი გასწყვეტია, ე. ი. იმისთანა მუშა, რომელიც ცხოვრებას გაულახავს და თითქმის ერთიანად დაცემულია სულით. ამას ზედ დაურთეთ ზემო აღწერილი გარემოებანი და მაშინ მიხვდებით რად არის გავრცელებული კალმით აუწერელი ლოთობა ბალახანის მუშათა შორის.

დაგპირდით ორიოდე სიტყვას აქაურ ქართველების შესახებ, მაგრამ რა ითქმის იმაზედ, თუ იგივე არა, იმისდა მიხედვით, მუშებს ეკუთვნიან, თუ მწარმოებელთ. მაინცა და მაინც ქართველს აშკარად ემცნევა გარეთ გამოუსვლელობა. მაშინ, როდესაც რუსი, სომეხი და ევროპიელი ცხოვრებას თან მისდევს და ისე გაუვარჯიშებია მკლავი, როგორც ეს საჭიროა ბრძოლის მოედანზედ გასამარჯვებლად, ქართველ კაცს ცხოვრება ძალის ძალად მიათრევს და ერთი-ორად სამწუხაროა მისი მდგომარეობა. ხელოსანი ქართველთა შორის იშვიათია. მომეტებულ ნაწილად აქ უფრო იმერლობაა და ისინი უფრო ჰბოგინობენ, ვიდრე ქართლ-კახელნი. ორი ნავთის ფირმაცა აქვთ აქ ქართველებს; ერთი ტფილისის ამხანაგობა, რომელიც შარშან შეისყიდეს; მეორე-კი კარგახანია, რაც არსებობს. ამ მეორე ფირმის მოურავს ბ-ნ ე—აეს განუზრახავს მუშათათვის სასწავლებლის დაარსება და, როგორც შევიტყეთ, კიდეც შესდგომია საქმეს. ვუსურვოთ ამ საქმის კეთილად დაბოლოვება, რათა სხვებსაც წაებაძნოთ მისთვის.

აქაურსა და ბაქოელ ქართველებს ჰსურდათ ბაქოში სამკითხველო-წიგნთსაცავი დაეარსებინათ, მაგრამ დაუდევრობისა გამო ვერ განახორციელეს ეს სურვილი; ამ ზაფხულს, არ მახსომს ვინ, „ივერიაში“ სწერდა განზრახულ სამკითხველოს შესახებ, მიჰმართავდა რა აქაურ თვალსაჩინო (ჯიბე საჩინო) ქართველებს და სთხოვდა დახმარებას. რასაკვირველია, არ გაგვიკვირდა ამ ჯიბე-საჩინოთა გულ-გრილობა, რადგანაც იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც აკეთებდეს იმას, რაც პირდაპირ იმისთვის არ არის საჭირო და სასარგებლო. ამიტომ ვურჩევ ბაქოელ სამკითხველოს მოსურნეთ, რომ თითონვე ეცადნენ და სხვის იმედზედ ნუ აიშენებენ ჰაერში კოშკს. უნდა მოგახსენოთ, რომ ერთხელ შეიკრიბნენ ეს თვალ თუ ჯიბე-საჩინონი, ითათბირეს და ასე გადასწყვიტეს: „რადგანაც აქ ბაქოა და არა ქუთაისი ან ოზურგეთი, სადაც მკითხველთა რიცხვი საკმაოდ მოიპოვება, ჩვენის აზრით, ორიოდ კიკმაკურიძე-სიხარულიძესათვის არა ღირს თავის შეწუხებაო“. აბა, ბატონებო, მოთვალეთ ჯერ სასტუმროები ბაქოში და თითო სასტუმროში, სულ ცოტა, სამ-სამი ქართველი მოსამსახურე იანგარიშეთ, მიუმატეთ ამათ სხვა და სხვა საქონლით მოვაჭრე ქართველები, სახელოსნო ქარხნებში მომუშავენი, წვრილ-ფეხა მოხელეობა, და მაშინ დაინახავთ საკმაო რიცხვს მკითხველებისას. თვით ის გარემოება, რომ ამ მომუშავე-მოვაჭრეთ აღძრეს ლაპარაკი სამკითხველოს დაარსების შესახებ, ნათლად ამტკიცებს, რომ იგი საჭირო ყოფილა და უნაყოფოდაც არ დარჩება. მაგრამ ქართველები რა გავამტყუნო, როდესაც იმათზედ უფრო უკეთესს გარემოებაში მყოფნი, სხვანიც ბაქოში არ არიან ამ მხრივ ხალისიანნი და გულ-მოდგინენი. თუ მცირენი ტალღათა შორის მისდევენ ლუკმას, და დიდთაც არ სცალიანთ და ღიღინით ჰბოჭავენ მილიონებს, არა მგონია, კავკასიის სხვა რომელსამე ქალაქში ისე მიაჩნდეთ დრო ფულად, როგორც ბალახანა—ბაქოში.

ბაქო! ბაქო! სწორეთ ზღაპრული გმირია, რომელიც, წლით-კი არა დღით იზრდება. იცით რას წარმოადგენდა იმ ოც-და-ხუთის წლის წინად ბაქო? უშნო, ერთი მუჭა ბანურ შენობიან აზიურ ქალაქს საცალფეხო ბილიკებით, სადაც ჩაჩოქილი თათრები ან ქიშმიშსა ჰყიდნენ, ან ლახათლუხუმს. ეხლა ქუდი უნდა მოიხადოთ, თუ არ გინდათ მოგვარდეთ, და ისე შეხედოთ სამ ოთხ სართულიანს სრა-სასახლეებს. განიერს ქვაფენილებს მისდევს აქედ იქიდგან მდიდარი მაღაზიები, ყოველგვარი საწყობები, სხვა-და სხვა საადმინისტრაციო დაწესებულებანი. მისი ნავთ-სადგური ყოველთვის სავსეა ხომალდებით, რომელთაც მიაქვთ და მოაქვთ საქონელი აზიისა, ავღანისტანისა, სპარსეთისა, რუსეთისა და ევროპიდგან. იმისი ქუჩები ყოველთვის ხმაურობითა და სიცოცხლით სავსეა, გადადის მილიონები ერთის ხელიდგან მეორეში, ერთი ქვეყნიდგან მეორისკენ და ეს სულ ბაქოს მაზრის და ბირჟის საშუალებით. ბაქო სწორედ უძირო ქისაა მის გარემო ნავთის სამრეწველო ადგილებისათვის. აქ ინთქმება და იბნევა აქეთ იქით ნავთიანი მილიონები. ტფილისში მისუსტებული არტისტი აქ იმაგრებს სულს, ტფილისიდამ მოსული ცირკი აქედგან იშორებს ტფილისში აღებულს ვალებს. მხიარულია ბაქო და მრავალიც არის აქ თავ შესაქცევარი, თუმცა აქაური ჰავა და თითქმის გამუდმებული ქარი, ცოტა არიყოს, ლაზათს, უკარგავს ყველა ამას. მაგრამ ბაქოელი ისე შესჩვევია აქაურს ბუნებას, რომ აინუნშიაც არ მოსდის. რაც შეეხება სასწავლებლებს, ამ მხრივ არ არის უნაკლულო ეს „ფულის“-ქალაქი, —ყოველ წელს მრავალი სწავლის მოსურნე რჩება სასწავლებლის გარეთ. „იმ“ სიმდიდრის მეოხებით, რომლითაც ბაქოს არე მარე სავსეა, და აგრეთვე იმის გამო, რომ ბაქო ახლო მომავალში დერბენდისა და პეტროვსკის საშუალებით რკინის გზას გაიტანს ევროპის ქალაქებისაკენ, ეს ქალაქი ერთი ორად აიწევს და პირველს ადგილს დაიჭერს კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ქალაქთა შორის.

ი. ხოსიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანსკისთან სადილად, რომელმაც სასიამოვნოდ ჩაიარა. სადილი გათავდა ოთხ საათზედ, რომლის შემდეგ ექსარხოსი დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი დაბრუნდა ტფილისს.

დამსწრე

# რუსეთი

—

უმართებულესს სენატს ნება დაურთავს ქალაქების საბჭოთათვის პენსია დაუნიშნონ ხოლმე ქალაქის თვით-მართველობის იმ მოხელეთ, რომელნიც სამსახურს თავს დაანებებენ.

— საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დედათა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების უფროს და ზედამხედველ ქალთ მიეცეთ მეტი პენსია, ვიდრე დღემდის ეძლეოდათ.

— უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ უცხო სახელმწიფოთა კანონები თუ ჯეროვანად არ იხელმძღვანელა სასამართლომ, შეიძლება საჩივარი სასამართლოს განაჩენის გაუქმების შესახებ ისევე იქმნას შეტანილი, როგორც რუსეთის კანონების ცუდად განმარტების მიზეზით შეაქვთ საჩივარიო.

— კიევის მემამულემ და შაქრის ქარხნის პატრონმა ტერეშჩენკომ 200,000 მან. შესწირა თურმე კიევში სახელოვნო-სამრეწველო სასწავლებლის დასაარსებლად.

— უმაღლესს სატეხნიკო განათლების გავრცელებისთვის ღონისძიებათა შესამუშავებლად დაარსებულ კომისიას განზრახვა აქვს იშუამდგომლოს, რომ ნება მიეცეთ რეალურ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ უნივერსიტეტში შესვლისაო.

— ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება რამდენიმე უცხო-ქვეყნელი, რომელთაც განზრახვა აქვთ თურმე დააარსონ სატელეფონო გაზეთი. ხელის მომწერლები დღეში რამდენჯერმე მოისმენენ ახალ ამბებს და დეპეშებს ტელეფონის შემწეობით. გაზეთი ეღირება 10 მან. წელიწადში.

# დამაკვირდი

ხშირად იმათი ბედიცა გვშურს, რომელნიც ჩვენზედ უბედურნი არიან.

დე-ტეისი

* * *

გირჩევნი — ცუდსა გშირდები; გამომიყვან წულიდგან — ცუდის ტარიც მენანება შენთვის.

რუს. ანდაზა

* * *

მუნწი მაინც ღარიბია, თუნდა ჰქონდეს და თუნდა არა ჰქონდეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი სიყვარულის შესახებ.

ცივილიზაციის პირველი ნიშანი ის არისო, ასე იწყება ეს წერილი, რომ რაც უპირველესს საჭიროებას შეადგენს, იმას ნაკლებად აძლევენ მნიშვნელობას და რაც საჭიროებას არ შეადგენს, იმას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ იმიტომ-კი არა ვჭამთ საჭმელს, რომ გავძღეთ, არამედ იმისთვისაც, რომ გემრიელი საჭმელი გვესიამოვნება. ტანთ-საცმელსაც მხოლოდ იმიტომ არ ვიცვამთ, რომ დაგვთბეს, არამედ იმისთვისაც, რომ კარგი ტანისამოსი მოგვწონს. ასევე ვიქცევით სახლში. მარტო ისეთი სახლი-კი არ გვინდა რომ სიცივემ არ შეატანოს, არამედ კარგად და ლამაზად მოწყობილი სახლში ყოფნა მოგვწონს. ასეა სიყვარულის საქმეც. აქ უფრო მეტად ეტყობა კაცს, რომ სიყვარულმა გადაუხვია უპირველესს საჭიროებას. ეხლანდელი სიყვარულ რომ გავსინჯოთ, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იგი ერთგვარი ავადმყოფობაა და სიგიჟეს წააგავს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სულით ავადმყოფი თავისს ავადმყოფობას ვერა ჰგრძნობს. შეყვარებული ადამიანი-კი კარგადა ჰგრძნობს თავისს ტანჯვას, მაგრამ თავი ვერ დაუხწევია.

პოლ ბურჟე სწერს, ის სიყვარული სიყვარული არ არის, რომელიც კაცს ავაზაკობას ვერ ჩაადენინებსო. მართლაც, რამდენჯერ მომხდარა, რომ კაცი საყვარელ ქალისათვის წუთი-სოფელს გამოეთხოვება ხოლმე.

ამ მხრივ სიყვარული ძლიერ წააგავს გენიოსობას. ხომ აღიარებულია, რომ გენიოსობა სულით ავადმყოფობაზე ძლიერ ახლოა. ასეა სიყვარულიც. იქნება ვინმე სთქვას, რომ ეს აზრი სიყვარულს ამცირებსო. სრულიადაც არა. ჰეინემ სამართლიანადა სთქვა, რომ ავადმყოფი კაცი ყოველთვის უკეთესია კარგა მყოფზედაო. სადაფი რომ არ დაავადდეს, არც მარგალიტი იქმნება შიგა.

* * *

ამერიკის ერთს უნივერსიტეტში სწავლა დაუმთავრებია ერთს ჩინელს ქალს აუ-კინგენგს სამკურნალო ფაკულტეტზედ. ეს მკურნალი ქალი ოფიციალურად დანიშნულ იქმნა ქალაქ ფუ-ჩეუს ერთის სამკურნალოს დირექტორად. ამ მკურნალს ქალს დიდი სახელი მოუხვეჭია ჩინეთის მთელს იმპერიაში, ასე რომ ყოველ კუთხიდგან მოდიან ამ სამკურნალოში ავადმყოფნი ქალნი და კაცნი.

ქალაქ ჩიკაგოში ვექილობა დაუწყვია ერთს ზანგ ქალს იდა პლატს. ამბობენ ეს ქალი ძლიერ კარგი ვექილი არისო. შავი ვექილი ამ ჟამად ოც-და-ათის წლისაა. სწავლა ჩინებულად დაუმთავრებია უმაღლესს საიურიდიო ფაკულტეტზედ.

* * *

ამერიკაში ამ ჟამად ტელეგრაფის ბოძებს ქაღალდისას აკეთებენ და ამბობენ, რომ ეს ბოძები გაცილებით სჯობია ხის ბოძებსა და ისე მალე არა ფუჭდებაო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები საიავად-აზნაურო ბანკისა: ნომრები სერიისა: 14917, 12936, 8509, 9821, 15834, 7364, 3764, 681, 1911, 12874, 3893, 2487, 15575, 12444, 7306, 14491, 10980, 12213, 14613, 15336, 1668, 10814, 5305, 15884, 15227, 5246, 13097, 942, 962, 5905, 5434, 7347, 11564, 9095, 77, 13800, 14763, 9833, 8477, 2174, 5636, 10773, 3416, 15652, 4246, 1260, 14480, 7146, 14942, 15182, 15746, 1726, 278, 14631, 15794, 9350, 4399, 7079, 6262, 8631, 4588, 8516, 4462, 1147, 2167, 15144, 14990, 12955, 164, 7565, 7390, 5154, 2764, 8434, 9641, 12443, 14 82, 346, 15464, 6848, 15764, 981, 5204, 11724, 14665, 14893, 13811, 2691, 12895, 13535, 12675, 11906, 4141, 4901, 3952, 11166, 6612, 11899, 3217, 153, 3007, 1920, 6282, 13984, 13610, 12206, 1426, 10672, 3807, 8126, 15688, 3881, 14030, 973, 13101, 913, 3741, 10303, 8178, 15413, 6494, 14019, 8844, 11327, 15465, 8578, 6878, 2969, 10565, 10698, 15697, 11117, 3817, 1417, 15815, 5523, 1587, 588, 675, 15932, 13081, 12242, 12958, 12670, 7191, 11847, 8086, 7312, 9577, 1156, 4472, 10555, 11695, 1519, 3402, 15905, 6091, 10910, 8653, 7926, 9245, 11820, 5473, 10228, 12047, 14265, 1247, 9265, 7062, 3097, 3133, 2381, 14860, 8723, 8310, 6847, 10305, 2051, 5609, 11628, 9114, 7579, 11417, 722, 3005, 10726, 15320, 1367, 15874, 1804, 12664, 7717, 12471, 4706, 15446, 7513, 817, 11610, 2911, 9962, 3270, 3440, 6711, 13615, 10225, 1163, 9254, 15005, 13857, 15889, 550.

დამატებითი ბილიუტენი ბირჟისა, 31 ოქტომბერს: გირავნობის ფურცლები ტფილისის სათავად აზნაურო სააღგილ მამულო ბანკისა 6% — 100½ ყიდულობენ, 5% — 99¼ ყიდულობენ; გირავნობის ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკისა 6% — 100½ ყიდ., 5% — 99¼ ყიდ.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ფინანსთა სამინისტროს კანცელიარიის დირექტორი რომანოვი დანიშნულ იქმნა ფინანსთა მინისტრის ამხანაგად.

**ბომბეი.** შავი ჭირი მძვინვარებს განსაკუთრებით პუნასა, მოლაპურასა, სურიტსა და სატარას ოლქში.

შავის ჭირით ავად გახდნენ ერთი ევროპიელი კაცი და რამდენიმე ქალი პუნასა და მოლაპურსა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ვიცე-პრეზიდენტი აბრაგამოვიჩი არჩეულ იქმნა პრეზიდენტად 132 ხმის უმეტესობით. მემარჯვენეთა დასი აბრაგამოვიჩის არჩევას ღტაცებულის ტაშის-ცემით მიეგება.

**პარიჟი.** პალატამ დაამტკიცა სენატის მიერ შეწყნარებული მოხსენება შესახებ იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება საიდუმლოდ არ იყოს ხოლმე და ბრალდებულის გამოკითხვას უეჭველად ვექილი დაესწროს.

**კანეა.** კრიტის საერო კრების თხოვნაზე ადმირალებმა უპასუხეს, რომ თქვენს თხოვნას სახეში ვიქონიებთ, მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე კრიტის გუბერნატორი არ იქმნება დანიშნული, გადაჭრილს პასუხს ვერ მოგცემთო.

2 ნოემბერი

**ვენა.** „Politiche Correspondenz“ სწერს: ტყუილია ათინის გაზეთების მიერ დაბეჭდილი ის ამბავი, ვითომ ბერლინის კაბინეტს განზრახვა აქვს კრიტის გენერალ-გუბერნატორად დაასახელოს პრინცი ადოლფ შაუმბურგ ლიპპე, სიძე გერმანიის იმპერატორისა.

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს მურავიოვს ებოძა ორდენი ოსმანიესი 1-ის ხარისხისა ბრილიანტებით.

3 ნოემბერი

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთის საელჩომ გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას, რომ თუ ვინიცობაა ერთი ნაწილი საბერძნეთისაგან აღებულ სამხედრო საზღვაურისა შეიარაღებას მოახმარე, მაშ მეც მოგთხოვ ჯერ გადაუხდელს ნაწილს საზღვაურისას — 1,300,000-საო.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ვანის ქედის ეკკლესიის მღვდელს სილიბისტრო ჯაშს, რომელმაც ასკანის სახალხო წიგნთ-საცავს შემოსწირა ხუთი მანეთი და იაგ ირ სოფრომის ძე ჩხაიძეს, რომელმაც ჩვიდმეტი ცალი როსტომაშვილის გამოცემული წიგნები შემოსწირა.

წიგნთ-საცავის გამგე სოლომონ მჭედლიშვილი

## განცხადებანი

# 1898 г.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА

# „ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

СЪ БЕЗПЛАТНЫМЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ

**„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.**

Выходитъ два раза въ недѣлю *): по воскресеньямъ и четвергамъ

**Ж БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ Ж**

Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою СЕМЬ руб.

**Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ 4 руб. и къ 1-му апрѣля — остальные — 3 рубля.**

Правительственныя и общественныя учрежденія, а также должностныя лица этихъ учрежденій, вправѣ подписываться въ кредитъ, но при условіи, чтобы а) требованія были заявлены на бланкѣ присутствія, съ указаніемъ числа, мѣсяца, года и №: б) при требованіи были присланы два рубля, и в) въ требовательномъ бланкѣ опредѣленъ былъ срокъ, къ которому должны быть доставлены въ редакцію остальныя подписныя деньги (5 р.) за газету, при чемъ учрежденіе принимаетъ на себя отвѣтственность за своевременную присылку остальныхъ денегъ (5 р.), до истеченія того года, на который сдѣлана подписка.

**(Адресъ: С.-Петербургъ, Невскій пр., д. № 59, кв. № 1).**

Программа: Передовыя статьи. — Обзоръ постановленій отечественнаго и послѣднихъ важнѣйшихъ постановленій иностраннаго законодательствъ. — Статьи и замѣтки спеціально юридическаго содержанія. Рисунки и иллюстраціи къ тексту статей на общемъ основаніи. — Вѣсти и слухи. — Корреспонденціи — Фельетонъ. — Рѣшенія Правительств. Сената. — Отчеты о судебныхъ засѣданіяхъ и процессахъ. — Рефераты юридическихъ ученыхъ обществъ и диспуты. — Движеніе по государственной и общественной службѣ (приказы министерствъ). — Дѣйствія правительства (собр. узак. и распор. прав.). — Списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената. — Списки лицъ состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія). — Обзоръ юридическихъ журналовъ. — Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія). — Объявленія.

Вмѣстѣ съ этимъ, подписчики, внесшіе полную годовую плату за газету, могутъ обращаться въ контору „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ или личныхъ интересовъ. Порученія эти редакція принимаетъ на себя при соблюденіи слѣдующихъ условій:

§ 1. Сообщеніе въ „Юридической Газетѣ“ въ отдѣлѣ „Почтоваго ящика“. справокъ о резолюціяхъ Кассаціонныхъ Департаментовъ Правительствующаго Сената, но не болѣе 3-хъ разъ въ теченіе подписнаго года, дѣлается безплатно. Лица же, желающія получить по дѣламъ Кассаціонныхъ департаментовъ Сената справки по почтѣ, прилагаютъ два рубля за каждую справку по каждому отдѣльному дѣлу, а желающія получить ее по телеграфу присылаютъ кромѣ двухъ рублей и стоимость отвѣтной телеграммы.

§ 2. Наблюденіе за ходомъ дѣла, какъ составляющаго предметъ особаго порученія болѣе или менѣе продолжительнаго, производится на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 3. Справки и порученія по судебнымъ и административнымъ департаментамъ Правит. Сената, равно какъ и по всѣмъ, вообще, кромѣ кассаціонныхъ департаментовъ Сената (см. выше § 1-й), центральнымъ и мѣстнымъ административнымъ и судебнымъ учрежденіямъ (правительственнымъ и общественнымъ) должны производиться на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 4. Разрѣшеніе юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся имущественныхъ и личныхъ интересовъ, сообщеніе совѣтовъ и т. п., производится письменно по почтѣ, на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 5. Лица и учрежденія, обращающіяся за справками, обязаны сообщать: а) бандероль, за которую получаютъ „Юридическую Газету“; б) когда и кѣмъ поданы прошеніе или жалоба; в) на рѣшеніе какого присутственнаго мѣста или должностнаго лица, и г) когда и какимъ присутственнымъ мѣстомъ и должностнымъ лицомъ прошеніе или жалоба отправлены въ Сенатъ или другое правительственное учрежденіе.

§ 6. При невзносѣ полной годовой подписной платы и при неисполненіи условій, указанныхъ выше въ §§ 1—5 настоящей программы, всѣ требованія, запросы и порученія оставляются безъ движенія, такъ какъ порученія, предусмотрѣнныя § 1, обязательны для конторы, если подписчикомъ исполнены требованія, указанныя въ § 1 и 5, а порученія, предусмотрѣнныя въ §§ 2—4, могутъ считаться обязательными для конторы лишь тогда, когда послѣдняя изъявитъ согласіе принять исполненіе возлагаемаго на нее порученія.

§ 7. Контора редакціи „Юридической Газеты“ также принимаетъ на себя указаніе адресовъ повѣренныхъ для веденія дѣлъ.

*) Въ дни Рождества Христова, равно на сырной, страстной и пасхальной недѣляхъ, а также въ два лѣтніе мѣсяца (съ 15 іюня по 15 августа) газета выходитъ по одному разу въ недѣлю.

(3—უ. — 2).

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Ноября 1897 г.

სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.